ხ ელ შ ე კ რ ულ ე ბ ა № 3 3

ქ. თბილისი

19 დეკემბერი 2016 წელი

სსიპ – ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დარამატული თეატრი (შემდგომში „შემსყიდველი ორგანიზაცია") "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და **შპს საკანცელარიო სამყარო მმ** (შემდგომში „მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის საჭირო ოფისის საქონელის CPV კოდი -**22850000** - ბაინდერები და მონათესავე აქსესუარები; **30190000** - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები; **30234000** - ინფორმაციის შესანახი საშუალებები; **31510000** - ელექტროვარვარა ნათურები; **33700000** - პირადი ჰიგიენის საშუალებები; **39525100** - მტვრის საწმენდი ტილოები; **39830000** - საწმენდი საშუალებებისს შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს 616,72 (ექვსასთორმეტი ლარი და 72 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართში N1, რომელიც წინამდებარე ხელშკრულების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

2.3 (მომსახურება გაწეული) იქნება მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. გორგასალის ქ. №1.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა განახორციელოს საქონლის მიწოდება (მომსახურება). იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

3.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

3.3. შემსყიდველი ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ მიყენებულ ზიანზე.

3.4. შემსყიდველი ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე და პირიქით, მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4. საქონლის (მომსახურების) მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება ყოველკვარტალურად (ყოველთვიურად) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.1 მიღება–ჩაბარება ფორმდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ინსპექტირების დადებითი დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოს ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6. მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეულიო მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებულ იქნება მაღალხარისხიანად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია დამატებითი ანაზღაურების გარეშე (საკუთარი სახსრებით) უზრნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა ხუთი დღეში და შემსყიდველს მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი.

7. ანგარიშსწორება და ფასები

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში, ყოველკვარტალურად (ყოველთვიურად) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7.2. ანგარიშსწორება ხორციელდება <u>უნაღდო</u> (ნაღდი) ანგარიშსწორებით. გადარიცხვა ხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3. ანგარიშსწორების საფუძველი არის მიღება-ჩაბარების აქტი.

7.4 ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დასაშვებია საქონლის საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

8. განსაკუთრებული პირობები

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8.2 მიმწოდებელმა წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას სუბ-კონტრაქტის გაფორმების, ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობის შესახებ და მიიღოს წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელსეკრულების ფარგლებში გაფორმებული ყველა სუბ-კონტრაქტის ხელშეკრულება უნდა წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას მისი დადებიდან ერთი კვირის ვადაში.

8.4. სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ცვლილებები ხელშეკრულებაში

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული მისცეს განმარტება მისი მხრიდან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის მიზეზების თაობაზე.

9.2. ცვლილებები ხელშეკრულებაში ამ ხელშეკრულების დანართად და მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების, შეუსრულებელი სამუშაოს) ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებას იტოვებს მას დააკისროს პირგასამტეხლო აუნაზღაურებელი საქონლის (გაწეული მომსახურების, შესრულებელი სამუშაოს) ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

11.2. ამ ხელშეკრულებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის დაუძლეველ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომას ან დაუდევრობასთან და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებით.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებიოს გამგზავნი მხარე არ მიირებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს ერთი კვირის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისა და შესაძლებლობის ფარგლებში აგრძელებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12. დავების გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.2. 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები მხარე მეორე მხარეს უგზავნის გადაწყვეტილებას, მისი მიღების საფუძვლის მითითებით და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე მაინც.

13.3. ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის.

13.4. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5. 13.4. პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების (საქონლის) ღირებულება.

14. დამატებითი პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრა-მდე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 პირად, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო მათგანი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა:

სსიპ - ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
ს/კ 204454811
მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №1.
სახელმწიფო ბიუჯეტი
„სახელმწიფო ხაზინა"

თეატრის დირექტორი

ნატალია ქანანელი

მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი:

შპს საკანცელარიო სამყარო მმ
ს/კ 405060151
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. დიღომი, მ.მესხის ქ. N 6
ელ მისამართი mamukamirianashvili18@gmail.com
ს/ს „თი-ბი-სი ბანკი"
ანგ.ნ GE46TB7886136020100001
ბანკის კოდი: TBGBGE22
შპს საკანცელარიო სამყარო მმ-ი-ს
დირექტორი

მამუკა მირიანაშვილი

	დანართი N1						
#	საქონლის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	ჯამური	cpv კოდი
1	მაგიდ. ტილო საშუალ. 4 ცალ	ცალი	4	2,52	10,08	47,78	395000000
2	მაგიდის ტილო "ბაგი"	ცალი	2	4,05	8,1		
3	მაგიდის ტილო პატარა 3 ცალი	ცალი	4	0,9	3,6		
4	ტილო იატაკის მიკროფიბრა 60*80	ცალი	1	5,85	5,85		
5	ტილო იატაკის მიკროფიბრა 60*80	ცალი	1	5,85	5,85		
6	ტილო იატაკის მიკროფიბრა 60*80	ცალი	2	5,85	11,7		
7	40*40 მიკროფიბრა	ცალი	2	1,3	2,6		
8	სამზ. პირსახოცი ლამბი 3 ფენა	ცალი	1	3,15	3,15	80,5	33700000
9	ქაღალდი ტუალეტის	ცალი	10	0,54	5,4		
10	თხევადი საპონი პაპილონი 500 მლ	ცალი	1	3,15	3,15		
11	საპონი 125გრ	ცალი	25	0,8	20		
12	1ფენ. ხელსახოცი სუქსპაკი 100 ც	ცალი	50	0,85	42,5		
13	სამზ. პირსახოცი ლამბი 3 ფენა	ცალი	1	2,8	2,8		
14	ტუალეტის ქაღალდი ლამბი 3 ფენა	ცალი	5	0,7	3,5		
15	ბიოლანი ეკონომ-ექსპერტი 350გრ	ცალი	1	2,25	2,25	62,28	39800000
16	აეროზოლი ქუულ 300გრ	ცალი	10	2	20		
17	ჭურჭლის ღრუბელი ეკომაქსი	ცალი	4	0,27	1,08		
18	ელემენტი კოდაკი 4ც	ცალი	1	4,05	4,05		
19	საოჯახო ცოცხი	ცალი	1	5,5	5,5		
20	პირამიდისებური ჯაგრისი და აქანდაზი	ცალი	2	7	14		
21	ელემენტი წვრილი პალჩიკი	ცალი	50	0,25	12,5		
22	თხევადი ჟელე პაპილონი 450გრ	ცალი	1	2,9	2,9		
23	ფაილი 4830	ცალი	8,00	3,75	30,00	103,15	228000000
24	ბაინდერი დიდი	ცალი	7,00	2,80	19,60		
25	რვეული 96ფ ა4	ცალი	8,00	2,25	18,00		
26	უწყისი სამივლინებო	ცალი	2,00	0,90	1,80		
27	რვეული 96 ფურცლიანი ა5	ცალი	5,00	1,20	6,00		
28	რვეული 96ფ ა4	ცალი	4,00	2,25	9,00		
29	ფაილი 4830	ცალი	5,00	3,75	18,75		
30	კალკულატორი დელი	ცალი	1,00	14,00	14,00	218,01	301000000
31	კალენდარი	ცალი	3,00	3,15	9,45		
32	კალენდარი ა2	ცალი	1,00	0,90	0,90		
33	სტეპლერი	ცალი	4,00	2,25	9,00		
34	სკობი 10 საიოქს	ცალი	5,00	0,30	1,50		
35	სტეპლერის ტყვია 5451 26/6	ცალი	5,00	0,45	2,25		
36	კალამი რაუნდ სტიკი ლურჯი	ცალი	20,00	0,40	8,00		
37	ფანქარი HB PLATINO 57 132/142	ცალი	6,00	0,36	2,16		
38	ჭიკარტი ფერადი არკ-1048	ცალი	5,00	0,63	3,15		
39	შტამბის მელანი	ცალი	1,00	1,00	1,00		
40	თითის დასასველებელი გელით	ცალი	1,00	1,00	1,00		
41	სკოჩი სანდო	ცალი	10,00	5,00	50,00		
42	ბლოკნოტი	ცალი	2,00	5,00	10,00		
43	პასტა საოფისე	ცალი	100,00	0,10	10,00		
44	მშრალი წებო 15გრ იალონგი	ცალი	30,00	0,60	18,00		
45	სკოჩი 45მმ/42მკ	ცალი	50,00	0,40	20,00		
46	ბლოკნოტის გული	ცალი	30,00	0,70	21,00		
47	კალკულატორი	ცალი	2,00	14,50	29,00		

48	კალამი გელითი	ცალი	8,00	0,95	7,60		
49	წათურა 100 ვატი	ცალი	10,00	0,60	6,00	6	31500000
50	ცდ-რ დისკი	ცალი	20,00	0,45	9,00	99,00	30200000
51	დვდ დისკი	ცალი	200,00	0,45	90,00		
	ჯამი				616,72	616,72	

სსიპ - ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დარამატული თეატრი

ს/კ 204454811

შპს საკანცელარიო სამყარო მმ

ს/კ 405060151

თეატრის დირექტორი

ნატალია ქანანელი

შპს საკანცელარიო სამყარო მმ - დირექტორი

მამუკა მირიანაშვილი